

მყარი ნარჩენების მართვის მიზნით EBRD 15 მლნ ევროს გამოყოფს



საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა და კავკასიაში, მოდლოვასა და ბედარუსში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) რეგიონურმა დირექტორმა, ბრუნო ბადვანერამ „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის“ სასესიო

შეთანხმება გააფორმეს.

ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, დოკუმენტი ითვალისწინებს 15 მლნ ევროს ოდენობის ფინანსური რესურსის გამოყოფას თბილისის მყარი ნარჩენების მართვის მიზნით. აღნიშნული თანხა შპს „თბილისერვის ჯგუფის“ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და სათანადო ტექნიკის შესყიდვას მოხმარდება.

სამინისტროში განმარტავენ, რომ პროექტს ექნება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი ეფექტი და ეკოლოგიური და სოციალური გარემოს გაუმჯობესებას მოემსახურება.

დღესვე, პროექტის ფარგლებში, გაფორმდა საპროექტო და მხარდამჭერი ხედვითი დოკუმენტები, რომელსაც ხედი მოაწერეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მაია ბითაძემ, შპს „თბილისერვის ჯგუფის“ დირექტორმა, დევან ჯღარკავამ და კავკასიაში, მოდლოვასა და ბედარუსში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეგიონურმა დირექტორმა, ბრუნო ბადვანერამ.

ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, დღეისთვის, EBRD-ის მხრიდან საქართველოსთვის გამოყოფილი დაფინანსების ოდენობა 200-ზე მეტი პროექტის განსახორციელებლად, დაახლოებით 3 მილიარდი ევროა, საიდანაც 90 პროცენტი მიმართულია კერძო სექტორში.